- **შესყიდვის ობიექტი: სამუშაო ტანსაცმელი, სპეცტანსაცმელი და აქსესუარები (CPV კოდი-18100000);**
- **დაფინანსების წყარო: 2017 წლის საკუთარი სახსრები;**
- **შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 19400,00 (ცხრამეტი ათას ოთხასი) ლარი (დღგ-ის გათვალისწინებით).**

ტექნიკური დავალება

N	საქონლის დასახელება	ტექნიკური მახასიათებლები		შენიშვნა	რაოდენობა	განზომილების ერთეული
1	**სამუშაო ჟილეტი**	ფერი	მუქი ლურჯი	სურათი 1.	**62**	ცალი
		აღწერა	**სილუეტი** - სწორი, მოკლე სტილი;			
			წინა მხარეს, მარჯვენა კალთაზე უნდა იყოს 7 ჯიბე: აქედან, კალთის ქვედა ნაწილში, ერთი ჯიბე ჩაჭრილი, ელვა შესაკრავით; ერთი ჯიბე - მოცულობითი ელვა შესაკრავით, რომელზეც ზემოდან დამუშავებულია ორი, ასევე მოცულობითი, სარქველიანი ჯიბეები; აღნიშნული ჯიბეები უნდა იკვრებოდეს ტექ. შესაკრავით.			
			მარჯვენა კალთის ზედა ნაწილში უნდა იყოს ორი ერთნაირი ზომის მოცულობითი ჯიბე, რომელიც შიკვრება კნოპით. აღნიშნულის ზემოთ კიდევ ერთი მოცულობითი ჯიბე - ტექ. შესაკრავით.			
			წინა მხარეს, მარცხენა კალთაზე უნდა იყოს: ერთი ჩაჭრილი ჯიბე ელვა შესკრავით; კალთის ზედა ნაწილში, ჩაჭრილი ჯიბის ზემოთ უნდა იყოს მოცულობითი ჯიბე, რომელიც უნდა იკვრებოდეს კნოპით. კალთის ქვედა ნაწილში - ერთი ჯიბე - მოცულობითი ელვა შესაკრავით, რომელზეც ზემოდან დამუშავებულია ორი, ასევე მოცულობითი, სარქველიანი ჯიბეები **(მარჯვენა კალთის ანალოგიურად და მასზე განლაგებული ჯიბეების სიმეტრიულად);**			
			ჟილეტის უკანა მხარეს უნდა იყოს: დიდი ზომის მოცულობითი ჯიბე, მარჯვენა გვერდიდან დატანებული ელვა შესაკრავით.			
		ქსოვილი	არანაკლებ 30% ბამბა, პოლიესტერი, არანაკლებ 190გრ/მ^2			
		"ლოგო"	მარცხენა კალთის ზედა ნაწილში და ზურგზე.	სურათი 5.		
2	**ქურთუკი მამაკაცის**	ფერი	მუქი ლურჯი	სურათი 2.	**51**	ცალი
		აღწერა	უნდა იყოს მოკლე სტილის, გვერდითა გაჭრილი ჯიბეებით, რომელიც უნდა იკვრებოდეს ელვა შესაკრავით, კალთების ზედა მხარეს კოკეტკის ნაკეცში დამუშავებული უნდა ჰქონდეს გაჭრილი ჯიბეები ელვა შესაკრავით. სახელო უნდა იყოს მოხსანადი ელვა შესაკრავზე, დამუშავებული სარჩულით. ბოლოში ტრიკოტაჟული რეზინის მანჟეტით. საყელო გადაფენილი მოხსნადი ბეწვით. ქურთუკის ბოლო უნდა იყოს დამუშავებული ქამრით, ნაწილობრივ საზედაპირე ქსოვილით, ნაწილი ტრიკოტაჟული რეზინით. იკვრებოდეს ელვა შესაკრავით. სარჩული უნდა იყოს დალიანდაგებული მათბუნებელზე, გამოკრული ჰქონდეს ელვა შესაკრავზე მოხსნადი დალიანდაგებული მათბუნებელი ჟილეტი.			

		ქსოვილი	პოლიესტერი 100%, ოქსფორდი პოლიურეტანის (PU) გარსით დაფარული, არანაკლებ 160გრ/მ^2			
		"ლოგო"	მარცხენა კალთის ზედა ნაწილში და ზურგზე.	სურათი 5.		
3	**ქურთუკი ქალის**	ფერი	მუქი ლურჯი	სურათი 3.	**20**	ცალი
		აღწერა	უნდა იყოს ნახევრად გამოყვანილი სილუეტი, მოგრძო სტილის, მკერდს ქვემოთ გადაჭრილი, ბოლოში 10-12სმ–ზე გადაჭრილი და დამუშავებული გასაფორმებელი გვირისტებით. კალთებზე დამუშევბული უნდა ჰქონდეს გაჭრილი ფურცლაკიანი ჯიბეები, სახელო ჩაკერებული მოსაჭიმით. რომელიც უნდა იკვრებოდეს ერთი ღილით ღილკილოზე. საყელო გადაფენილი. ელვა შესაკრავზე მოხსნადი კაპიშონით. კალთები უნდა იკვრებოდეს ელვა შესაკრვით, რომელიც დაფარული უნდა იყოს თამასით და იკვრებოდეს 6 ცალი კნოპით, აქედა 5 ფარული კნოპით. ქურთუკი უნდა იყოს დამუშავებული დალიანდაგებული სარჩულით. ჯიბის ფურცლაკი და სახელოს მოსაჭიმი უნდა იყოს განსხვავებული ქსოვილით.			
		ქსოვილი	პოლიესტერი 100%, ოქსფორდი პოლიურეტანის (PU) გარსით დაფარული, არანაკლებ 160გრ/მ^2			
		"ლოგო"	მარცხენა კალთის ზედა ნაწილში და ზურგზე.	სურათი 5.		
4	**ლაბადა**	ფერი	მუქი ლურჯი	სურათი 4.	**72**	ცალი
		აღწერა	უნდა იყოს სწორი სილუეტის, გრძელი სტილის, უნდა ჰქონდეს კალთებზე დამუშავებული ზედნადები ჯიბეები სარქველით, ჩაკერებული სახელოთი, ბოლო შიგნითა მხრიდან დამუშავებული ტრიკოტაჟული მანჟეტით. უნდა ჰქონდეს კაპიშონი ყელის ამონაჭერში ჩაკერებული მოსაჭიმით თოკზე, იკვრებოდეს ელვა შესაკრავით, რომელიც დაფარული იქნება თამასით და უნდა იკვრებოდეს 6 კნოპით. მხრის მიკერების ადგილიდან ვერტიკალურად დამუშავებული უნდა იყოს 2 პარალელური 25 სმ-ნი სიგრძის და 2,5-3სმ სიგანის შუქამრეკლი (მანათობელი ლენტი). ლაბადის ყველა ზედა ნაკერები დამუშავებული უნდა იყოს წებო ლენტით.			
		ქსოვილი	პოლიესტერი PVC ან PU გარსის დაფარვით, არანაკლებ 120გ/მ^2			
		მანათობელი წარწერა	"სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო; ექსპერტი" - ლაბადის ზურგზე.			

შენიშვნა:

- *შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, პრეტენდენტი ვალდებულია წარმოადგინოს კონკრეტული ნიმუშები, მოთხოვნიდან არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ვადაში, რომელსაც ჩაუტარდება ექსპერტიზა გამოყენებული ნაჭრის შემადგენლობის დადგენის მიზნით;*
- *"ლოგო" შოლკოგრაფია/პრინტი/თერმოტრანსფერი ბარხატზე (თერმოტრანსფერი ბარხატზე-დაკერებული) - უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან. საქონელზე განთავსებული „ლოგო“ უნდა იყოს შესრულებული მაღალი ხარისხით და დაზიანების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია არანაკლებ 1 წლის ვადაში აღადგინოს დაზიანებული „ლოგო“;*
- *ყველა პოზიციაზე ღილი უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან;*
- *უნდა აკმაყოფილებდეს შეკერილი ნაწარმისათვის დადგენილ ზოგად ხარისხობრივ მაჩვენებელს;*

- *საქონლის შეკერვა უნდა განხორციელდეს ინდივიდუალურად, აღებული ზომების მიხედვით;*
- მიწოდების ვადა: საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 45 კალენდარული დღის განმავლობაში. *ამასთან, მითითებულ ვადაში, შემყიდველის მოთხოვნიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ზომების აღება შემსყიდველის შესაბის თანამშრომლებზე.*
- საქონლის მოწოდების ადგილი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N84.